



ულტრასონოგრაფიის დეპარტამენტი



პროფესორი გიორგი სვანიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასისტენტ-პროფესორი მარინა ალუაშიძე



ულტრასონოგრაფიის დეპარტამენტი

რადიოლოგიის მიმართულების საფუძველია სხივური დიაგნოსტიკის და სხივური თერაპიის კათედრა, რომელიც სათავეს იღებს 1921 წელს შექმნილი რენტგენოლოგიის კათედრიდან. 1955 წელს კათედრამ შეიცვალა სახელი და ეწოდა რენტგენოლოგიის და სამედიცინო რადიოლოგიის კათედრა. მომდევნო წლებში კათედრის სასწავლო პროგრამაში შეტანილი იქნა ახალი სხივური დიაგნოსტიკური მეთოდები, რომლებიც ამ პერიოდისთვის უკვე ფართოდ და აქტიურად გამოიყენებოდა ყოველდღიურ კვლევებში- თერმოდიაგნოსტიკა, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, კომპიუტერული ტომოგრაფია.

2006 წელს კათედრა გადაკეთდა დეპარტამენტად, შემდეგ მიმართულებად. მის ხელმძღვანელად არჩეული იქნა პროფესორი ოთარ ურუშაძე.

მიმართულებაში შედის ულტრასონოგრაფიის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელად არჩეული იქნა პროფესორი გიორგი სვანიძე, ხოლო ასისტენტ-პროფესორად მარინა ალფაიძე. დეპარტამენტი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ჰეპატობილიარული სისტემის ზონების დიაგნოსტიკურ საკითხებზე.

ამჟამად დეპარტამენტში მიმდინარეობს ულტრაბგერითი კვლევის ნეიროსონოლოგიური სამსახურის მიერ სამედიცინო პრაქტიკაში ინოვაციების და ახალი მეთოდების დანერგვა: ტრანსკრანიალური დოპლეროგრაფია და დუპლექს-სკანირება; ფუნქციური (ვაზომოტორული რეაქტიულობა, აუტორეგულაცია) და პოსტურალური ტესტები; გაზოვანი და სოლიდური (MES) დეტექცია, მათი დეფინიცია ენდოვასკულარული ინვაზიების და პრევენციული ღონისძიებების დროს; ინტრაოპერაციული დოპლეროგრაფია; ტვინის სიკვდილის დიაგნოსტიკის კრიტერიუმები; ინტრაკრანიალური ჰიპერტენზიის (ICP) მონიტორირების ნეიროსონოლოგიური მეთოდები; ანგიოსპაზმის მონიტორირება და თერაპიული ეფექტის კონტროლი; სისხლძარღვოვანი ანომალიები და სხვა.